

ორი ლიდერის მატჩი

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 19 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) – “სპარტაკი” (მოსკოვი) 2:4 (0:2).

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, სულაქველიძე, დარასელია, ჭილაია, მინაშვილი (ჯოხაძე), შენგელია, ყიფიანი, ჩელებაძე (მ. მაჩაიძე).

“სპარტაკი”: დასაევი, სამოხინი, მირზოიანი, ხილიატულინი, რომანცევი, შავლო, როდკონოვი, სოროკინი, გავრილოვი, ჩერენკოვი, გესი.

მსაჯი: მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი).

გაფრთხილებულია სამოხინი.

ზოგიერთმა მიმომხილველმა და კომენტატორმა ეს მატჩი ტურის ცენტრალურ მოვლენად მიიჩნია, ზოგიერთები კი უფრო შორსაც წავიდნენ და მას პირველი წრის უმნიშვნელოვანესი ამბავი უწოდეს. რა თქმა უნდა, უფრო სწორი მეორენი არიან, ვინაიდან, საკავშირო ჩემპიონატის ამ ეტაპზე ქულათა თანაბარი რაოდენობის მქონე ორი წამყვანი გუნდის შეხვედრა საყოველთაო ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. მას უდიდესი ინტერესით მოელოდნენ ჩვენი საფეხბურთო წრეები, გულშემატკივრები და რა თქმა უნდა, საგანგებოდ ემზადებოდნენ თვით გუნდებიც.

მატჩმა განვლო, ოდნავ დაცხრა მისგან გამოწვეული ვნებათა ღელვანი, დაძაბულობა, წაგების სინანული, მაგრამ კიდევ და კიდევ წყრომით ვისხენებთ დილიდანვე უიმედოდ მოღრუბლულ თბილისის ცას, რომელმაც ზედ მატჩის წინ გადაუღებელი თქეშით უმასპინძლა ამ დიდ ფეხბურთს და გადაიღო ზუსტად მაშინ, ნუთი-ნუთზე, როცა მიროსლავ სტუპარმა საფინალო სასტვენის მისცა და ყველას გვაუწყა, რომ ტურისა თუ წრის ეს ცენტრალური მოვლენა არქივის კუთვნილება გახდა.

წვიმა! მან გარკვეული დიდი დააჩნია თამაშს, მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა მასში და თუ სამუხლე წყალში გამართული უშეღავათო ბრძოლის პერიპეტეებს გავისხენებთ, ამასთან, თუ ნამდვილ სპორტულ ობიექტურობასაც გამოვიჩინოთ, გულახდილად უნდა ვთქვათ: ‘სპარტაკმა’ უფრო უკეთ ითამაშა, უფრო უკეთ გაარკვია მძიმე მინდვრის სპეციფიკა, რაციონალურად იმოქმედა მთელი მატჩის მსვლელობაში და დიდი ტექნიკური უნარი გამოავლინა როგორც წინასწარ დასახული საერთო გეგმის შესრულებისას, ისე ცალკეულ მომენტებში ანაზღად შექმნილ რთულ სიტუაციებში.

საყურადღებოა, რომ სპარტაკელები მეტოქესთან შედარებით ნაკლებად მიმართავდნენ დაბალ გადაცემებს, არ ენდობოდნენ წყლით დაფარულ მინდორს და საშუალო სიმაღლეზე კომბინაციებს ან მაღალ გადაცემებს ამჯობინებდნენ. ამის შედეგად ისინი ნაკლებ დროს კარგავდნენ კონტრიერიზებზე გადასვლისას. ამას გარდა, მოსალოდნელი შეცდომების ლიკვიდირებისთვის კარგად ჰქონდათ ორგანიზებული მცველთა ურთიერთდაზღვევა, რისთვისაც სისტემატურად პულობდნენ თავისუფალ მოთამაშეს.

საუკეთესოდ ითამაშეს სპარტაკელთა ნახევარმცველებმა, რომელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 18 წლის როდიონოვი. ამ რგოლმა უკიდურესად პრომატევალი სამუშო გასწია, გადამწყვეტი როლი ითამაშა შეტევის მხარის დაჭერის დროსაც და მაშინაც, როცა მათი მცველები თითქმის გამოუვალ, კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. უმთავრესად სწორედ ასეთი აქტიური, მობილური ნახევარდაცვის მეშვეობით შეძლეს სტუმრებმა ურთულესი ტაქტიკური ამოცანების წარმატებით გადაჭრა, ხოლო სხვა მოთემეებიდან გამოვყოფთ მეკარე დასაევის, ცენტრალურ მცველს ხილიატულინს, თავდამსხმელ ჩერენკოვს.

რაც შეეხება თბილისის დინამოელებს, შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ მათ ძალ-ლონე და ენერჯია დაიშურეს, თავიანთ შესაძლებლობებზე დაბლა ითამაშეს, ან უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს. რასაკვირველია, არა მაგრამ, ჩვენი აზრით, მთელ რიგ მომენტებში ისინი იფიქრებდნენ, რომ წვიმდა და საჭირო იყო “წვიმის ვარიანტით” თამაში, პარტნიორები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს პასს აწვდიდნენ დაბლა, პირდაპირ წყალში, ბურთი კი შუა გზაში ჩერდებოდა. ჩვენი ნახევარდაცვა აშკარად ჩამოუვარდებოდა მოწინააღმდეგისას, ხშირი იყო შეცდომები დაცვაში, განსაკუთრებით ფლანგებზე, ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე მეკარე გაბელია, თავდამსხმელები ერთდებოდნენ შორი მანძილიდან კარში დარტყმას, ეს კი ესოდენ საჭირო და აუცილებელი იყო ამ დღეს.

ასეთ ამინდში გუნდმა 2-3 გადაცემით უნდა მიაღწიოს მოპირდაპირე საჯარიმო მოედანს და დაუყოვნებლივ, წამის დაუკარგავად გამოიყენოს მეტოქის შეცდომა, შეასრულოს თავდამსხმელის მოულოდნელი, სწრაფი მანევრი. ამის ნაცვლად კი დინამოელები ბევრ დროს კარგავდნენ შუა მინდორში, მოკლე გადაცემებით უადვილებდნენ სპარტაკელებს დაეცვათ თავი. მეტი იყო მოსალოდნელი ისეთი აგრესიული ფორვარდისგან, როგორც ჩელებაძეა.

“სპარტაკმა” საგანგებო სიძლიერით და მონდომებით ჩაატარა პირველი 5 წუთი. ეს იყო ნამდვილი შტურმი რომლის დროსაც უძლიერესი დარტყმები შეასრულეს სოროკინმა, გესმა, მერე კი მოწინააღმდეგის მცველებით გარშემორტყმულმა ჩერენკოვმა ზუსტად გაგზავნა ბურთი კარის მარჯვენა კუთხეში – 1:0.

ამის შემდეგ დინამოელებმა შტურმს შტურმით უპასუხეს, ისინი თითქმის 20-25 წუთი არ მოსცილებიან მოსკოველთა ნახევარს, ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა მიუხედავად გუნდს რამდენიმეჯერ შეეძლო მიეღწია წარმატებისთვის, მაგრამ სტუმრებმა კარგად დაიცვეს თავი, 41-ე წუთზე კი მოულოდნელი კონტრშეტევა განახორციელეს და იმავე ჩერენკოვმა მეორე გოლი გაიტანა “დინამოს” კარში.

მეორე ტაიმის დაწყება ასეთი პასივით დიდ სიძნელეს წარმოადგენდა მასპინძლებისთვის, თუმცა ხსნის იმედი გამოჩნდა მაშინ, როცა შენგელიამ 62-ე წუთზე საპასუხო ბურთი გაიტანა. მაგრამ 75-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან მოწოდებული კუთხურისას შეცდომა მოუვიდა გაბელიას, ხელიდან გაუვარდა უკვე აღებული ბურთი და მას ყველაზე ადრე მიუსწრო გესმა – 3:1.

მართალია, იმედმა კიდევ ერთხელ გაიელვა, როცა ყიფიანმა 77-ე წუთზე შორი მანძილიდან ულამაზესი გოლი გაიტანა დასაყვის კარში, მაგრამ ორიოდ წუთის მერე გავრილოვმა მოიგო ბრძოლა მოპირდაპირე მცველთან და მეოთხედ აიღო დინამოელთა კარი – 4:2.

ჩვენი ქვეყნის თასის შარშანდელი მფლობელისა და ჩემპიონის ეს პრინციპული, უაღრესად დაძაბული ბრძოლა ლიდერობისთვის დამთავრდა ჩემპიონის სასარგებლოდ, რომელიც ახლა უკვე ერთპიროვნული ლიდერის როლში გვევლინება, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს მოხდა იმიტომ, რომ მან უკეთ ითამაშა ამ დღეს შექმნილ ვითარებაში, უკეთ გამოიყენა არსებული შესაძლებლობანი, მთავარი ბრძოლა წინაა. გადასაჭრელია მრავალი ახალი ამოცანა და ჩვენ, თბილისის “დინამოს” ქომაგებმაც თვით თბილისელმა ფეხბურთელებმაც წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ახალი ძალებითაა საჭირო ბრძოლა “როგორც სსრ კავშირის თასის ფინალში, ისე ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებშიც.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 21 ივნისი, 1980 წ.